ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის
ოქმი №3

დაბა ქედა, 26 ივნისი, 2024 წელი

სხდომა დაიწყო: 10:30 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 10:45 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
ვაჟა აბულაძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
ჯიმშერ სამნიძე - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მზია ბოლქვაძე - კომისიის წევრი;
გოჩა ჟღენტი - კომისიის წევრი.
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი;
მინდია არძენაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნესტანი ბერიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტუქტურის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

26.06.2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მზია ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
3	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
4	ვაჟა აბულაძე	კომისიის წევრი	
5	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
6	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
7	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	
8	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	
9	გოჩა ჟღენტი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წერიგი:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქე დარიკო დავითაძის უძრავ ნივთზე ნუმერაციის მინიჭების თაობაზე;**

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ბერიძე.

2. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2024 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა;**

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ბერიძე.

1. მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის მაისში შემოვიდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი მოქალაქე დარიკო დავითაძის განცხადების თაობაზე (განცხადების ნომერი:04-95241444-95; განცხადების თარიღი:23.05.2024), რომელიც მოითხოვს მისამართის მინიჭებას უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდის №21.07.31.069. მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტს სოფელ წონიარისში).

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ, საკრებულოს აპარატის თანამშრომლებთან ერთად, განახორციელა სოფელ წონიარიში არსებული ტერიტორიის დათვალიერება.

სოფელ წონიარისში მოქალაქე დარიკო დავითაძის უძრავი ქონება მდებარეობს დაუსახლებელ ტერიტორიაზე, ამიტომ ,,ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის ქუჩების სახელდების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების ნუმერაციის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 ოქტომბრის N01-20/89 განკარგულებით მიმდებარე ქუჩა არ არის სახელდებული.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ადგილზე გასვლით და დათვალიერებით დგინდება, რომ დამისამართების თავლსაზრისით საჭიროა არსებული სოფელ წონიარისის მესამე ქუჩა გაგრძელდეს მდინარე წონიარისისწყლზე არსებულ ხიდამდე და მიზანშეწონილია კომისიის მიერ ინიციირებული იქნას შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

1. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის მე-3 ქუჩა გაგრძელდეს მდინარე წონიარისისწყალზე არსებულ ხიდამდე.

2. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამათლებრივი აქტის პროექტის ინიციირება.

2. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2024 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	განხილვის თარიღი	საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე	საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე	პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე
1	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურული პროექტების და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების მდგომარეობის, სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, მოსმენა და ანალიზი.	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
3	საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2024 წლის მეოთხე კვარტალის სამუშაო გეგმა.	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს ბიუროს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული იქნას საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2024 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 10:45 საათზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

ოქმი შეადგინა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ნესტან ბერიძე